

სატენდერო განცხადება

ტენდერის ტიპი	ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერი
შემსყიდველი	შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“
დაფინანსების წყარო	2017 წლის საკუთარი შემოსავლები
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	2'216'500 ლარი
სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ის გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი 66500000	
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი 66514110	
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	22'165 ლარი



ელექტრონული ტენდერის საშუალებით

ავტოსატრანსპორტო საშუალებების სადაზღვევო მომსახურების (CPV 66500000; 66514110)

სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე.

ქ.თბილისი

2016 წ.

## 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

- 1.1 ელექტრონული შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში - სისტემა) მეშვეობით.
- 1.2 სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.
- 1.3 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
- 1.4 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.
- 1.5 სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).
- 1.6 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაუშუტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.
- 1.7 ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით ან/და სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად წარმოდგენის ან ისეთი სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში, რომელიც არ პასუხობს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ან/და სატენდერო დოკუმენტაციის ყველა მოთხოვნას, შესაძლებელია გამოიწვიოს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.
- 1.8 „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებიდან ამავე პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე, არაუგვიანეს 24 საათისა, ნებისმიერ მიმწოდებელს უფლება აქვს სისტემის მოდულის – „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დაუშუტება.
- 1.9 სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის და შესყიდვის პროცედურების შესახებ განმარტებების მისაღებად, მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის წევრს ნინო ყანჩაველს ტელ: (+995 32) 2 357777 1603, ელ. ფოსტა: [NKanchaveli@metro.ge](mailto:NKanchaveli@metro.ge) მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2.

## 2. ტექნიკური დოკუმენტაცია

- 2.1 **შესყიდვის ობიექტი**
  - 2.1.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს - ელექტრონული ტენდერის საშუალებით - **ავტოსატრანსპორტო საშუალებების სადაზღვევო მომსახურების (CPV 66500000; 66514110)** სახელმწიფო შესყიდვა.
  - 2.1.2 გასაწევი მომსახურების ტექნიკური დავალება განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2-ის შესაბამისად.
- 2.2 **მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი**
  - 2.2.1 მომსახურების გაწევის ვადა: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან - 12 (თორმეტი) თვე. ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან დაეზღვევა არანაკლებ 10 ავტობუსი, ხოლო სრულად - 143 ავტობუსი - 2017 წლის 30 აპრილამდე.
  - 2.2.2 მომსახურების გაწევის ადგილი: დაზღვევის არეალი - საქართველოს ტერიტორია.
- 2.3 **სატენდერო წინადადების ღირებულება**
  - 2.3.1 სატენდერო წინადადების ღირებულება და პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1-ის შესაბამისად.
  - 2.3.2 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ღირებულება გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და გასაწევი მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადისა და გადასახდელის ჩათვლით.
  - 2.3.3 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ღირებულების წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.
- 2.4 **ანგარიშსწორების პირობები**
  - 2.4.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში ეტაპობრივად, ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვეს, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) წარდგენის საფუძველზე.
  - 2.4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 2017 წლის საკუთარი შემოსავლებით.
  - 2.4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღისა 2.4.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
  - 2.4.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.
  - 2.4.5 იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი (შემდგომში გამარჯვებული კომპანია) მომსახურების გაწევას დაიწყებს თვის 2, 3, 4 და ა.შ რიცხვიდან (ხელშეკრულების პირობების შესაბამისად), ანაზღაურება განხორციელდება თვიური გადასახადის პროპორციულად დღეების მიხედვით.
- 2.5 **ალტერნატიული წინადადება**

პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.
- 2.6 **პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი დოკუმენტაცია**
  - 2.6.1 სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დანართი №1-(ავტოსატრანსპორტო საშუალებების სადაზღვევო მომსახურების ხარჯთაღრიცხვა). აღნიშნულ დანართში პრეტენდენტის მიერ მითითებულ უნდა იქნას შევსების თარიღი, პრეტენდენტის დასახელება,

სატენდერო წინადადების ფასი (როგორც სიტყვიერად, ისე ციფრებით), მომსახურების საპროცენტო მოცულობა თვეში ერთ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე (---%) (სადაზღვევო პრემია), მომსახურების სავარაუდო ღირებულება თვეში ერთ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე (ლარი) ( სავარაუდო სადაზღვევო პრემია), ავტოსატრანსპორტო საშუალებების სადაზღვევო მომსახურების საერთო სავარაუდო ღირებულება (ლარი) (დღ-ის ჩათვლით), ამავე დანართით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

- 2.6.2 სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დანართი №2 (მომსახურების ტექნიკური დავალება), ამავე დანართით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.
- 2.6.3 სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დანართი №3 (პრეტენდენტის რეკვიზიტები), ამავე დანართით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.
- 2.6.4 შესაბამისი სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის ასლი.
- 2.6.5 სატენდერო დოკუმენტაციის 2.7 პუნქტის 2.7.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.
- 2.6.6 ინფორმაცია სადაზღვევო რისკის 60%-ის გადაზღვევის შესახებ, რომელიც წერილობით დადასტურებული უნდა იყოს გადამზღვეველი კომპანი(ებ)ის მიერ. წერილში მითითებული უნდა იყოს გადამზღვეველი კომპანი(ებ)ის წილობრივი მონაწილეობა სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში. ამასთან, გადამზღვეველი კომპანია რეგისტრირებული უნდა იყოს (ეგთო)-ს და/ან განვითარებულ ქვეყნებში, მას უნდა გააჩნდეს ერთ-ერთი ქვემო აღნიშნული საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს შეფასება და რომელიმე მათგანის მიერ მინიჭებული მინიმალური რეიტინგი, არანაკლებ: Standard & poor's : BB+, AM Best: B, Moody's: Bal, ან Fitch BB+.

**2.7 დამატებითი ინფორმაცია**

- 2.7.1 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა უნდა დასაბუთდეს აკრედიტებული ორგანიზაციის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნით. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-11- მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.
- 2.7.2 ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ 2015-2016 წლების განმავლობაში (სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებით) **გამომუშავებული** პრემია (სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა) კუთხით) სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით, უნდა შეადგენდეს არანაკლებ 2'000'000 ლარს. ამასთანავე, ამავე პერიოდში (სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებით) ანალოგიურ მომსახურებაზე (ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის კუთხით) ანაზღაურებული ზარალის ოდენობა (ბრუტო) უნდა შეადგენდეს 2015-2016 წლების განმავლობაში **გამომუშავებული** პრემიის არანაკლებ 50%-ს.

**3. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია**

- 3.1 საკვალიფიკაციო მონაცემების სახით პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
  - 3.1.1. ცნობა, შესაბამისი სასამართლოდან, რომ მათ მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარობის საქმისწარმოება.
  - 3.1.2 ცნობა, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ (იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის დავალიანება ბიუჯეტის წინაშე შეადგენს 10'000 ლარზე მეტს, მოხდება მისი დისკვალიფიკაცია სატენდერო პროცედურებიდან);
  - 3.1.3 ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
  - 3.1.4. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან რეორგანიზაცია-ლიკვიდაციის არქონის შესახებ.
- 3.2. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით (სტატუსი - სატენდერო წინადადებების მიღება დაწყებულია) გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არა უგვიანეს ოცდაათი დღისა.
- 3.3. სატენდერო დოკუმენტაციის 3.1 პუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენილ უნდა იქნეს სატენდერო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი სათანადოდ დამოწმებული დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

**4. ხელშეკრულების შესრულების გარანტია**

- 4.1 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს 21-ე მუხლის საფუძველზე, ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტია, თუ ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200 000 ლარს.
- 4.2 ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 4,5%-ის ოდენობით, ხოლო, იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, ხელშეკრულების შესრულების გარანტია ნაცვლად 4.5%-ისა განისაზღვრება 9%-ის ოდენობით.
- 4.3 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს **საბანკო ან სადაზღვევო დაწესებულებიდან**, ხელშეკრულების დადებამდე.

- 4.4 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღმატებოდეს მომსახურების გაწევის საბოლოო ვადას.
- 4.5 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე.

## 5. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავედროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

ერთი მხრივ, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ (მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2), წარმოდგენილი \_\_\_\_\_ სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, \_\_\_\_\_ (იურიდიული მის: \_\_\_\_\_) წარმოდგენილი - \_\_\_\_\_ სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) შემდგომში ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარჯვებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად და შემსყიდველის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (\_\_\_\_\_ სახელმწიფო შესყიდვა) საფუძველზე, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ტერმინთა განმარტებები

- 1.1. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ახორციელებს შესყიდვას მის მიერ გამოცხადებული ტენდერის (SPA\_\_\_\_\_ ) საშუალებით, ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის „დამზღვევი“.
- 1.2. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება შემსყიდველის მიერ გამოცხადებულ ტენდერში (SPA\_\_\_\_\_ ), ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის „მზღვეველი“;
- 1.3. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, მასზე თანდართული, მიმწოდებლის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 და 1.2 პუნქტებში მითითებული ტენდერისათვის, წარმოდგენილი, ყველა დოკუმენტით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, მათ შორის:
- 1.3.1 ავტოსატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ხარჯთაღრიცხვა (დანართი №1);
- 1.3.2 მომსახურების ტექნიკური დავალება (დანართი №2);
- 1.3.3 პრეტენდენტის რეკვიზიტები (დანართი №3).
- 1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა (სადაზღვევო პრემია) (იხ. დანართი №1), რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარულ დღე, კვირა, თვე.
- 1.6. „უფლებამოსილი მძღოლი“ - პირი, რომელიც დასაქმებულია შემსყიდველ ორგანიზაციაში, რომლის ასაკი აღმატება 18 წელს და რომელსაც გააჩნია დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებისათვის საჭირო (შესაბამისი კატეგორიის) მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა.
- 1.7. „დამზღვევის ობიექტი“ - დამზღვევის კანონიერ საკუთრებაში (მფლობელობა, სარგებლობა) მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა (დანართი №2) ან/და მის ცალკეულ ნაწილთან დაკავშირებული ქონებრივი ინტერესები, რომელიც დაკავშირებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების ფლობასთან, სარგებლობასა და განკარგვასთან.
- 1.8. „სატრანსპორტო საშუალება“ - სადაზღვევო პოლისსა და დანართ №1-ში მითითებული შემსყიდველის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალება.
- 1.9. „სადაზღვევო მოწმობა (პოლისი)“ - მზღვეველის მიერ გაცემული ხელმოწერილი საბუთი, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
- 1.10. „სადაზღვევო თანხა“ - სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური სიდიდე - მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი;
- 1.11. „სადაზღვევო შემთხვევა“ - მოვლენა, რომლის დადგომისას წინამდებარე ხელშეკრულება/პოლისის ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას;
- 1.12. „სადაზღვევო რისკი“ - მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა. სადაზღვევო რისკები განისაზღვრება ხელშეკრულებით/პოლისით;
- 1.13. „სადაზღვევო ანაზღაურება“ - ანაზღაურება, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მზღვეველის მიერ განხორციელდება/გაიცემა დაზღვეულზე/დაზარალებულ მესამე პირზე;
- 1.14. „მიყენებული ზიანი“ - მატერიალური ზიანი, რომელიც მიაღდა დაზღვეულს/ დაზარალებულ მესამე პირს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად;
- 1.15. „სრული განადგურება“ (Total Loss) - ზიანი, რომლის შედეგადაც ავტოსატრანსპორტო საშუალების აღდგენის ღირებულება შეადგენს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას საბაზრო ღირებულების 70%-ს ან მეტს ან არსებობს შესაბამისი ექსპერტის დასკვნა, რომ სატრანსპორტო საშუალების აღდგენა მიზანშეუწონელია ან ავტოსატრანსპორტო საშუალება გატაცებულია და მისი პოვნა ვერ ხერხდება;
- 1.16. „სადაზღვევო პრემია“ - თანხა, რომელიც უნდა გადაუხადოს დამზღვევმა მზღვეველს დაზღვევის საფასურად - დაზღვევის ღირებულება.
- 1.17. „სადაზღვევო პერიოდი“ - წინამდებარე ხელშეკრულებაში/პოლისში მითითებული დაზღვევის მოქმედების ვადა.
- 1.18. „წერილობითი განაცხადი შემთხვევის დადგომის შესახებ“ - დაზღვეულის/უფლებამოსილი მძღოლის/უფლებამოსილი პირის მიერ შემთხვევის დადგომის შემდეგ შევსებული დოკუმენტი, სადაც მიეთითება შემთხვევის დადგომის დრო, ადგილი, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო მონაცემები, ასევე ყველა ის არსებითი გარემოება, რომლის შესახებაც ინფორმირებულია დაზღვეული/უფლებამოსილი მძღოლი/უფლებამოსილი პირი და რომლის საფუძველზეც მზღვეველი იღებს ვალდებულებას დაიწყოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საკითხის განხილვა;
- 1.19. „მგზავრი“ - ფიზიკური პირი, რომელიც ზის, მგზავრობს, ადის, გადმოდის დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან;

1.20. „უპირობო ფრანშიზა“ - სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზიანის ნაწილი, რომელსაც მზღვეველი არ აანაზღაურებს;

1.21. „დაზღვეული“ – რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული შემსყიდველის ბალანსზე რიცხული 143 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების სადაზღვევო მომსახურება (შემდგომში „მომსახურება“), წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 66514110.

2.3. გაწეული მომსახურების დასახელება, განზომილება, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება მომსახურების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად (დანართი №1).

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მომსახურების ხარჯთაღრიცხვის (დანართი №1) შესაბამისად.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევის მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, დღგ-ის ჩათვლით.

## 4. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

4.1.1. მომსახურების გაწევის ვადა: სახელწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან - 12 (თორმეტი) თვე. ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან დაუზღვევა არანაკლებ 10 ავტობუსი, ხოლო სრულად - 143 ავტობუსი - 2017 წლის 30 აპრილამდე.

4.1.2. მომსახურების გაწევის ადგილი: დაზღვევის არეალი - საქართველოს ტერიტორია.

## 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებების ჯგოფიდან შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

5.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს: ----- (შემდგომში „ინსპექტორების განმახორციელებელი პირი“);

5.3. ინსპექტორების განმახორციელებელი პირის ფუნქციებია:

5.3.1. გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების დაცვას;

5.3.2. დაადგინოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

5.3.3. გააფორმოს მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტი და უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გამოწერილი პოლისის მიღება.

## 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება ჩათვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6.3. მიღება-ჩაბარების აქტი დგება მომსახურების (ან მისი ნაწილის) ყოველი მიწოდების დასრულების შემდეგ.

6.4. მომსახურების (ან მისი ნაწილის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

## 7. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში ეტაპობრივად, ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვეს, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) წარდგენის საფუძველზე.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება 2017 წლის საკუთარი შემოსავლებით.

7.3. ანგარიშსწორება განხორციელდება არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღისა 7.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.4. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

7.5. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი (შემდგომში გამარჯვებული კომპანია) მომსახურების გაწევას დაიწყებს თვის 2, 3, 4 და ა.შ რიცხვიდან (ხელშეკრულების პირობების შესაბამისად), ანაზღაურება განხორციელდება თვიური გადასახადის პროპორციულად დღეების მიხედვით.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

### 8.1. შემსყიდველი (დამზღვევი) ვალდებულია:

8.1.1. გადაიხადოს სადაზღვევო პრემია ან/და მისი ნაწილი წინამდებარე ხელშეკრულებითა და სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად;

8.1.2. სადაზღვევო პერიოდში შემთხვევის დადგომისას:

ა) დაუყოვნებლივ (შესაძლებლობის ფარგლებში), მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა აცნობოს მიმწოდებელს შემთხვევის დადგომის შესახებ, შემდეგ სატელეფონო ნომერზე \_\_\_\_\_;

ბ) დაუყოვნებლივ (შესაძლებლობის ფარგლებში) შეატყობინოს საპატრულო პოლიციას შემთხვევის შესახებ;

გ) შემთხვევის დადგომიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში (გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეებისა და შაბათ-კვირისა) მიაწოდოს მიმწოდებელს უფლებამოსილი პირის მიერ წერილობითი განაცხადი (მხარეებს შორის შეთანხმებული ფორმით) სადაზღვევო ანაზღაურების მიღების მოთხოვნით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) შემთხვევის დადგომიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში (გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეებისა და შაბათ-კვირისა), მოთხოვნის შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიაწოდოს მიმწოდებელს მის ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე \_\_\_\_\_ უფლებამოსილი მძღოლის მართვის მოწმობის, პირადობის მოწმობის და შემთხვევაში მონაწილე დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობის ასლები და დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;

ე) საჭიროების შემთხვევაში, ხელი შეუწყოს მიმწოდებელს დაზიანებული ან/და განადგურებული დაზღვევის ობიექტის დათვალიერებაში მისი წარჩენის შეკეთებამდე ან/და აღდგენამდე, დაზიანების ან/და განადგურების ფაქტის ან/და ხარისხის დასადგენად.

### **8.2 შემსყიდველი (დამზღვევი) უფლებამოსილია:**

- 8.2.1 შემთხვევის დადგომისას მიიღოს ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
- 8.2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულების ფარგლებში და წინამდებარე ხელშეკრულების 11.2 და 11.3 პუნქტების დებულებების გათვალისწინებით, ნებისმიერ დროს დააკორექტიროს (გაზარდოს/შეამციროს) ავტოსატრანსპორტო საშუალებები. აღნიშნულის შესახებ მიმწოდებელს უნდა ეცნობოს წერილობით წინასწარ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს დასაკორექტირებელ სატრანსპორტო საშუალებათა ჩამონათვალი, მონაცემები, მათი ღირებულება და დაზღვევის გაუქმების ან/და ძალაში შესვლის თარიღი. ამ თარიღის მიხედვით გამოითვლება:
  - (1) მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის დასაბრუნებელი (გამოუმუშავებელი) სადაზღვევო პრემიის ოდენობა სატრანსპორტო საშუალების შემცირების შემთხვევაში;
  - (2) შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობა სატრანსპორტო საშუალების დამატების შემთხვევაში, დაზღვევის პირობების გათვალისწინებით.
- 8.2.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაასაჩივროს მიმწოდებლის გადაწყვეტილება, რომელიც მას მიაჩნია არასამართლიანად;
- 8.2.4 მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.

### **8.3 მიმწოდებელი (მზღვეველი) ვალდებულია:**

- 8.3.1 ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან (ავტოსატრანსპორტო საშუალების დამატების შემთხვევაში, შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან) არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში წარმოუდგინოს დამზღვევს კანონის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი სადაზღვევო მოწმობა (პოლისი);
- 8.3.2 უზრუნველყოს ხელშეკრულებაში მითითებული სატელეფონო ნომრების 24 საათიანი მუშაობა და შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, ზარის მიღების შეუფერხებელი შესაძლებლობა;
- 8.3.3 შემთხვევის დადგომის შესახებ სატელეფონო ზარის მეშვეობით ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, უზრუნველყოს წარმომადგენლის ოპერატიული გაგზავნა შემთხვევის ადგილზე;
- 8.3.4 უზრუნველყოს საპატროლო სამსახურთან ურთიერთობა და შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვება;
- 8.3.5 უზრუნველყოს ზიანის ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტების დროული მოგროვება (მათ შორის სამართალდარღვევის ოქმის მოძიება), სადაზღვევო შემთხვევის აქტის შედგენა (მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფორმით);
- 8.3.6 მიაწოდოს დამზღვევს ინფორმაცია სადაზღვევო კომპანიაში წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ და გაუწიოს დახმარება აღნიშნული დოკუმენტაციის მომზადებაში;
- 8.3.7 უზრუნველყოს დამზღვევი სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში შესადგენი წერილობითი განაცხადის ფორმით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 8.3.8 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;
- 8.3.9 უზრუნველყოს შესამე პირებთან ურთიერთობა და მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სადაზღვევო შემთხვევის აქტის საფუძველზე, რომელიც უნდა წარუდგინოს დამზღვევს;
- 8.3.10 უზრუნველყოს დაზარალებულ მგზავრებთან ურთიერთობა და მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სადაზღვევო შემთხვევის აქტის საფუძველზე, რომელიც უნდა წარუდგინოს დამზღვევს;
- 8.3.11 ამ პუნქტის 8.3.4; 8.3.5; 8.3.9 და 8.3.10 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამისი ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე იმოქმედოს შემსყიდველის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;
- 8.3.12 სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, შემსყიდველზე გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ან მოტივირებული უარი;
- 8.3.13 შეაკეთოს დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალება მწარმოებელი კომპანიის (ქარხანა-დამამზადებლის) "MAN"-ის ოფიციალურ იმპორტიორთან ან/და მის მიერ ავტორიზირებულ სერვისცენტრში.**
- 8.3.14 გააკონტროლოს დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთების უზრუნველყოფა გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. ამასთან აღნიშნულის გონივრულ ვადაში ობიექტური მიზეზით შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში აცნობოს წერილობით შემსყიდველს სათანადო საფუძვლის მითითებით.**
- 8.3.15 ხელშეკრულების დადგენის ან/და მოქმედების პერიოდში, დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს საკონტაქტო ინფორმაციის შეცვლის შესახებ;
- 8.3.16 უზრუნველყოს ხარისხიანი მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნიკური დავალების შესაბამისად (დანართი №2).

### **8.4 მიმწოდებელი (მზღვეველი) უფლებამოსილია:**

- 8.4.1 მონაწილეობა მიიღოს სადაზღვევო შემთხვევის მიზეზების დადგენასა და ზიანის სიდიდის შეფასებაში, მოსთხოვოს ხელშეწყობა შემსყიდველს;
- 8.4.2 მიიღოს შემსყიდველისაგან საჭირო დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის ან/და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის დასადგენად.

## **9. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის დადგენა და გაცემის წესი**

- 9.1 ზიანის ოდენობის დადგენა ხდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის თარიღიდან არაუგვიანეს **5 (ხუთი)** სამუშაო დღის ვადაში.
- 9.2 სადაზღვევო ანაზღაურება ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში განხორციელდება სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენიდან არაუგვიანეს 8.3.14 პუნქტში მითითებული ვადების შესაბამისად;
- 9.3 **სრული განადგურების შემთხვევაში**, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილების შესაბამისად, მიმწოდებელი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას ავტოსატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის სრული განადგურების დროს არსებული საბალანსო ღირებულების ოდენობით, ზარალის დადგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა ან უზრუნველყოფს შემსყიდველისათვის ანალოგიური მონაცემების მქონე (მათ შორის მარკა, მოდელი და სხვ) ავტოსატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის საკუთრებაში გადაცემას გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა.
- 9.4 სრული განადგურების შემთხვევაში (მათ შორის გატაცებული სატრანსპორტო საშუალების პოვნისას) და მიმწოდებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების 9.3. პუნქტში მითითებული პირობების შესაბამისად განხორციელებისას, დამზღვევი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე საკუთრებაში გადაცემს მზღვეველს სატრანსპორტო საშუალებას შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოში შესაბამისი რეგისტრაციის მოხსნის გზით ან შესაძლებელია მხარეები შეთანხმდნენ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ვარგისი ნაწილების ღირებულების გამოკლებით, შესაბამისი სადაზღვევო შემთხვევის აქტის საფუძველზე.
- 9.5 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია არ დაეთანხმა განსაზღვრული ზიანის ოდენობას, ზიანის ოდენობის დადგენა მოხდება აკრედიტებული ორგანოს/პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით.

- 9.6 თუ შემსყიდველმა ზიანის დადგომისას შესარულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება, დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე უარის თქმა მიმწოდებლის წარმომადგენლის შემთხვევის ადგილზე გამოუცხადებლობის გამო.

## 10. რეგრესი

რეგრესის უფლება არ გამოიყენება დამზღვევის უფლებამოსილი მძღოლის მიმართ.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
- 11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 11.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევისა.
- 11.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
- 11.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

- 12.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
- 12.1.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;
- 12.1.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;
- 12.1.3. საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 12.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება (მთლიანად ან ნაწილობრივ), თუ:
- 12.2.1. მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
- 12.2.2. მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეზად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
- 12.2.3. მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას;
- 12.2.4. სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში მზღვეველის/მიმწოდებლის ლიკვიდაციის ან გაკოტრების საქმისწარმოების დაწყების შემთხვევაში.
- 12.2.5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 13. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 13.1 მხარეები იღებენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
- 13.2 შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
- 13.3 მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას: მომსახურების გაწევის ვადებით გათვალისწინებული, ვადების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურების ღირებულების 0.2 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

## 14. ფორს-მაჟორი

- 14.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით. ასეთი ვითარების არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
- 14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.
- 14.3 მხარე, რომელიც ხელშეკრულების 14.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ფორს-მაჟორული ან/და სხვა ხელშემშლელი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.
- 14.4 ფორს-მაჟორული ან/და სხვა ხელშემშლელი გარემოებების დადგომის შემთხვევაში თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.



- 14.5. ხელშეკრულების 14.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

### 15. დავების გადაწყვეტა

მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

### 16. ხელშეკრულების სხვა პირობები

- 16.1 ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.
- 16.2 წინამდებარე ხელშეკრულების ერთი ან რამდენიმე პუნქტის გაუქმება (მათ შორის სასამართლოს მიერ) არ იწვევს ამ ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილების მოქმედების შეწყვეტას.
- 16.3 სადაზღვევო მომსახურებასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
- 16.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

### 17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ----- ჩათვლით, გარდა ამ ხელშეკრულების ----- პუნქტებისა, რომლებიც მოქმედებს ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

### 18. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

#### „შემსყიდველი“

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“  
საიდენტიფიკაციო კოდი: 202886788  
იურიდ. მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2  
ტელ: (995 32) 2 93 50 50.  
სს თბილისი ბანკი  
ა/ა GE67TB7931836070100001; ბანკის კოდი: TBCBGE22

#### „მიმწოდებელი“

\_\_\_\_\_

მის: \_\_\_\_\_

ტელ: (995 32) \_\_\_\_\_.

\_\_\_\_\_

ა/ა \_\_\_\_\_; ბანკის კოდი: \_\_\_\_\_

საიდენტიფიკაციო კოდი: \_ \_\_\_\_\_

ავტოსატრანსპორტო საშუალებების სადაზღვევო მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

„\_\_\_\_“ \_\_\_\_\_ 2016 წ.  
(შევსების თარიღი)

\_\_\_\_\_ ავტოსატრანსპორტო საშუალებების სადაზღვევო მომსახურებას გთავაზობთ \_\_\_\_\_ (\_\_\_\_\_) ლარად.  
(პრეტენდენტის დასახელება) (თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვიერად)

№	ავტოსატრანსპორტო საშუალების დასახელება და გამოშვების წელი	ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა (ცალი)	ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალების საბალანსო ღირებულება (ლარი)	ზომის ერთეული	რაოდენობა	მომსახურების საპროცენტო მოცულობა თვეში ერთ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე (---%) (სადაზღვევო პრემია)	მომსახურების სავარაუდო ღირებულება თვეში ერთ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე (ლარი) (სავარაუდო სადაზღვევო პრემია)	ავტოსატრანსპორტო საშუალებების სადაზღვევო მომსახურების საერთო სავარაუდო ღირებულება (ლარი)
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX
1	MAN Lion's City Full Low Floor CNG 12m (2016- 2017 წ)	143	620'000	თვე	12			

**შენიშვნა:**

სადაზღვევო პრემიის დაანგარიშება განხორციელდება, თითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალების საბალანსო ღირებულების მიმართ პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებული საპროცენტო მოცულობის შესაბამისად.

-----  
(პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი გვარი)

-----  
ხელმოწერა (ბეჭედი არსებობის შემთხვევაში)

**მომსახურების ტექნიკური დავალება**

ავტოსატრანსპორტო საშუალებების სადაზღვევო მომსახურება უნდა მოიცავდეს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ბალანსზე რიცხული 143 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევას, შემდეგ სადაზღვევო შემთხვევებზე:

1. სატრანსპორტო საშუალებების დამზღვევის მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა (ლიმიტი - 50,000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი თითოეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, ასევე მზღვეველმა უნდა უზრუნველყოს მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება:
  - 1.1 მესამე პირის გარდაცვალების შემთხვევაში, გარდაცვლილის წარმომადგენელს (მემკვიდრეს) უნდა აუნაზღაურდეს თანხა (მიყენებული ზიანის, დაკრძალვის, მარჩენალის, სასამართლო და სხვა) 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით;
  - 1.2 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, მაქსიმალური ლიმიტის ფარგლებში;
  - 1.3 თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზარალდა რამდენიმე პირი, სადაზღვევო ანაზღაურება თითოეულს მიეცემა პროპორციულად მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, მაქსიმალური ლიმიტის ფარგლებში;
2. გარეგანი დაზიანება;
3. ავტოსატრანსპორტის გატაცება, ქურდობა, მარცვა, ყაჩაღობა;
4. ავტოსაგზაო შემთხვევა;
5. თვითააღება, ხანძარი ან/და აფეთქება;
6. სხვადასხვა საგნის დაგემა;
7. სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი, ზვავი, ქარიშხალი, წყალდიდობა, მეხის დაცემა, სეტყვა და სხვა )
8. ტერაქტი სამოქალაქო მღელვარების და სხვა მსგავსი არეულობების დროს მიყენებული ზიანი ან/და სრული განადგურება;
9. **სრული განადგურება (Total Loss)** - ზიანი, რომლის შედეგადაც ავტოსატრანსპორტო საშუალების აღდგენის ღირებულება შეადგენს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას საბაზრო ღირებულების 70%-ს ან მეტს ან არსებობს შესაბამისი ექსპერტის დასკვნა, რომ სატრანსპორტო საშუალების აღდგენა მიზანშეუწონელია ან ავტოსატრანსპორტო საშუალება გატაცებულია და მისი პოვნა ვერ ხერხდება;

**ფრანშიზა :** აღნიშნული დაზღვევის ფარგლებში ფრანშიზის ოდენობა შეადგენს 0%-ს , ზარალი ანაზღაურდება მთლიანად. გარდა იმ შემთხვევისა როდესაც დგინდება უფლებამოსილი მძღოლის ბრალეულობა.

**უპირობო ფრანშიზა:** აღნიშნული დაზღვევის ფარგლებში უპირობო ფრანშიზის ოდენობა შეადგენს 500 ლარს, როდესაც დგინდება უფლებამოსილი მძღოლის ბრალეულობა.

**სადაზღვევო პირობები:**

სადაზღვევო ანაზღაურება ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში განხორციელდება სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენიდან **გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. ამასთან აღნიშნულის გონივრულ ვადაში ობიექტური მიზეზით შეუსრულებლობის შეუძლებლობის შემთხვევაში აცნობოს წერილობით შემსყიდველს სათანადო საფუძვლის მითითებით;**

**სრული განადგურების შემთხვევაში,** შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილების შესაბამისად, მიმწოდებელი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას ავტოსატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის სრული განადგურების დროს არსებული საბალანსო ღირებულების ოდენობით, ზარალის დადგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა ან უზრუნველყოფს შემსყიდველისათვის ანალოგიური მონაცემების მქონე (მათ შორის მარკა, მოდელი და სხვ) ავტოსატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის საკუთრებაში გადაცემას გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა.

**მზღვეველი ვალდებულია შეაკეთოს დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალება მწარმოებელი კომპანიის (ქარხანა-დამამზადებლის) "MAN"-ის ოფიციალურ იმპორტიორთან, მის მიერ ავტორიზირებულ სერვისცენტრში;**

ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო კომპანია არ გამოიყენებს რეგრესის უფლებას დამზღვევის უფლებამოსილი მძღოლის მიმართ.

სადაზღვევო კომპანია საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულია უზრუნველყოს დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების უფასო ევაკუაცია; მზღვეველი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან (ავტოსატრანსპორტო საშუალების დამატების შემთხვევაში, შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან) არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში წარმოუდგინოს დამზღვევს კანონის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი სადაზღვევო მოწმობა (პოლისი);

მზღვეველმა უნდა უზრუნველყოს საპატრულო სამსახურთან და მესამე პირებთან ურთიერთობა, იმ შემთხვევაში თუ მზღვეველს შეექმნება რაიმე პრობლემა საპატრულო სამსახურთან დოკუმენტაციის მოპოვებასთან დაკავშირებით, რაც არ იქნება დამოკიდებული მზღვეველის ქმედებებზე, დამზღვევი მაქსიმალურად გაუწევს დახმარებას საჭირო დოკუმენტაციის მოპოვებაში;

მზღვეველმა უნდა უზრუნველყოს ზარალის ანაზღაურებისთვის საჭირო დოკუმენტების დროული მოგროვება (მათ შორის სამართლდარღვევის ოქმის მოძიება);

სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრება: ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან უწყვეტად 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში.

სადაზღვევო არეალი საქართველო.

უფლებამოსილი მძღოლი - პირი, რომელიც დასაქმებულია შემსყიდველ ორგანიზაციაში, რომლის ასაკი აღემატება 18 წელს და რომელსაც გააჩნია დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებისათვის საჭირო (შესაბამისი კატეგორიის) მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა. სადაზღვევო პირობები არ ითვალისწინებს შემდეგი ხარჯის ანაზღაურებას - თუ უფლებამოსილი მძღოლი სატრანსპორტო საშუალებას მართავს ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან სხვა ფსიქოტროპული საშუალების ზემოქმედების ქვეშ.

---

(პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი გვარი)

---

ხელმოწერა

**პრეტენდენტის რეკვიზიტები:**

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

საიდენტიფიკაციო/ პირადი ნომერი:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული მისამართი:

პრეტენდენტის ფაქტიური მისამართი:

პრეტენდენტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული ფოსტის მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

-----  
(პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი გვარი)

-----  
ხელმოწერა